

**მზის სისტემის რიგი ციური სხეულების მორფოლოგიურ-მორფომეტრიული ანალიზი  
შედარება-აღწერილობის მეთოდის გამოყენებით**

*ცეცია დონაძე*

ელ-ფოსტა: [tsetsilia.donadze@tsu.ge](mailto:tsetsilia.donadze@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

ჩვენთვის ცნობილი მონაცემებით დედამიწის მოსახლეობამ პირველ მილიარდს 1800 წ. მიაღწია; სულ რაღაც 135 წელიწადში კი - 5 მილიარდს, დღევანდელი აღწერით დაახლოებით 8 მილიარდია; ასეთი სწრაფი ზრდის ფონზე თავს იჩენს პრობლემათა რიგი, რომელთა შორის განსაკუთრებით მწვავეა განსახლება და რესურსებით უზრუნველყოფა. განვითარების ნოსფეროს ეტაპზე მყოფი გეოგრაფიული გარსის საზღვრების გაფართოება ამ პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა, ხოლო იარაღი - ახალი ტექნოლოგიები, ასევე ახლად-შექმნილი მეცნიერული დარგი „აღწერილობითი პლანეტოლოგია“.

მოხსენებაში გადმოცემულია ნასას, ბიბისის, დისქავერის და ვიკიპედიის საშუალებით მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, შედარება - აღწერილობის მეთოდის გამოყენების საშუალებით წარმოებული დედამიწასთან მთვარის, შიდა პლანეტების, ასევე გიგანტი პლანეტების ზოგიერთი თანამგზავრის მორფოლოგიურ-მორფომეტრიული ანალიზი, რის, შედეგადაც დადგინდა მათ შორის არსებული რამდენიმე მსგავსება-განსხვავება. ჭეშმარიტებაა თუ ადამიანი სრულად შეიცნობს ჩვენს პლანეტას, მასთან შედარება - აღწერილობის მეთოდით შეუძლია შეიცნოს მთელი სამყარო, რადგან დედამიწა პატარა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მოდელია დროსა და სივრცეში მუდმივი და უსასრულო მატერიალური, თუ არამატერიალური სხეულისა, რომელსაც კოსმოსი ეწოდება.